European Commission




აღმოსავლეთ პარტნიორობის (EaP) მე-5 სამიტი ბრიუსელში

# მითები აღმოსავლეთ პარტნიორობის შესახებ

EaP Eastern Partnership

## მითი 1

### აღმოსავლეთ პარტნიორობაში მონაწილეობა ევროკავშირის წევრობის საწინდარია

**მცდარია:** აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივა არ წარმოადგენს ევროკავშირში გაწევრიანების პროცესს. მისი მიზანია დემოკრატიის, კეთილდღეობის, სტაბილურობის და გაუმჯობესებული თანამშრომლობის ერთიანი სივრცის შექმნა. აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივა უზრუნველყოფს ინკლუზიურ ჩარჩოს ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებისთვის, ასევე აზერბაიჯანის, ბელარუსის, მოლდოვას რესპუბლიკის, საქართველოს, სომხეთის და უკრაინისთვის, შემდეგ სფეროებში თანამშრომლობის მიზნით: (1) ეკონომიკური განვითარება და საბაზრო შესაძლებლობები; (2) ინსტიტუტების გაძლიერება და კარგი მმართველობა; (3) კავშირები, ენერგოეფექტურობა, გარემო და კლიმატის ცვლილება; და (4) მობილობა და ხალხთა შორის კავშირები. თითოეულ სახელმწიფოს საკუთარი სურვილით შეუძლია აირჩიოს, თუ რა დონეზე და რა მიზნით ესწრაფვის ევროკავშირთან ურთიერთობას.

## მითი 2

### აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივა შექმნილი იყო ევროკავშირის მიერ რუსეთის პროვოცირების მიზნით

**მცდარია:** აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივა არ არის მიმართული არც ერთი ქვეყნის

წინააღმდეგ; ეს არის ორმხრივად სასარგებლო და კონსტრუქციული პლატფორმა ქვეყნებისთვის რეგიონში ევროკავშირთან უფრო ახლო ურთიერთობის დასამყარებლად, მათი სურვილის შემთხვევაში. ევროკავშირი არ ავალდებულებს მის არც ერთი პარტნიორს, გააკეთოს არჩევანი ევროკავშირს ან სხვა რომელიმე ქვეყანას შორის. ჩვენ კარგი სამეზობლო ურთიერთობების მომხრე ვართ. აღმოსავლეთ პარტნიორობა პატივს სცემს თითოეული პარტნიორი ქვეყნის დამოუკიდებელ მისწრაფებებს და მიზნებს.

## მითი 3

### აღმოსავლეთ პარტნიორობა იწვევს დესტაბილიზაციას ან რეჟიმის ცვლილებას

**მცდარია:** აღმოსავლეთ პარტნიორობის ტრანსფორმაციული გეგმის მიზანია დადებითი ცვლილებების განხორციელება ევროკავშირის და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების მოქალაქეთა ცხოვრებაში. აღნიშნულის მიღწევის ერთ-ერთი ძირითადი გზაა დემოკრატიული წესების და პრინციპების დანერგვა და ხელშეწყობა. ევროკავშირი პარტნიორ ქვეყნებს არ ახვევს თავს რაიმე ქმედებას ან პროგრამას. თანამშრომლობის ზოგადი მიზანია დემოკრატიის, კეთილდღეობის და სტაბილურობის ერთიანი სივრცის შექმნა თითოეული ქვეყნის მისწრაფებების შესაბამისად.

## მითი 4

### აღმოსავლეთ პარტნიორობის გეგმა თავს მოხვეულია პარტნიორებზე მათი სურვილების საწინააღმდეგოდ

**მცდარია:** აღმოსავლეთ პარტნიორობა არის ევროკავშირის და ექვსი პარტნიორი ქვეყნის ერთობლივი ინიციატივა. ის არ არის თავს მოხვეული და ქვეყნებს შეუძლიათ აირჩიონ საკუთარი ჩართულობის დონე და მიზნები. ევროკავშირი არ ახვევს თავს პარტნიორ ქვეყნებს რაიმე რეფორმას და ღირებულებებს. რეალობა აბსოლუტურად საპირისპიროა. პარტნიორი ქვეყნები აკეთებენ არჩევანს ევროკავშირის სტანდარტებთან შესაბამისობის მისაღწევად. ეს ხორციელდება, მაგალითად, გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული მმართველობითი სტრუქტურების ჩამოყალიბებით და სამრეწველო სტანდარტების ჰარმონიზაციის გზით ორმხრივი სავაჭრო შესაძლებლობებიდან სარგებლის მისაღებად.

## მითი 5

### ევროკავშირის თანხები იკარგება კორუფციის გამო

**მცდარია:** ევროკავშირის ფულადი სახსრები ყოველთვის ექვემდებარება მონიტორინგის და ანგარიშგების მკაცრ პროცედურებს. გარდა ამისა, კორუფცია ყველაზე მეტად ადამიანების ყოველდღიურ ცხოვრებაზე მოქმედებს და ამიტომ ევროკავშირის მიერ პარტნიორ ქვეყნებში მხარდაჭერილი ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია კორუფციასთან ბრძოლა: სასამართლო,

რეფორმა; კონსტიტუციური და საარჩევნო რეფორმა; ბიზნეს-გარემოს ზოგადი გაუმჯობესება და საჯარო მმართველობის რეფორმა. ამ რეფორმების მხარდაჭერა, რომლებიც მიზნად ისახავს სამართლიანი სისტემის ჩამოყალიბებას, შემოწმებისა და დაბალანსების გზით, წარმოადგენს როგორც ევროკავშირის მოქალაქეების, ისე პარტნიორი ქვეყნების მოქალაქეების ინტერესებს.

## მითი 6

### აღმოსავლეთ პარტნიორობამ ხელი შეუწყო ამ ქვეყნებიდან ევროკავშირში მოსახლეობის მასობრივ მიგრაციას

**მცდარია:** ევროკავშირს გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები საქართველოსთან, მოლდოვის რესპუბლიკასთან და უკრაინასთან, რაც საშუალებას აძლევს ამ ქვეყნების ბიომეტრული პასპორტების მქონე მოქალაქეებს იმოგზაურონ შენგენის სივრცეში ვიზის გარეშე 90 დღის განმავლობაში ნებისმიერ 180-დღიან პერიოდში. მათ შეუძლიათ იმოგზაურონ ტურიზმის, ნათესავების ან მეგობრების მონახულების, ან ბიზნესის, მაგრამ არა მუშაობის მიზნით. გაფორმებულია სავიზო მხარდაჭერის ხელშეკრულებები სომხეთთან და აზერბაიჯანთან, ამასთანავე ვიზები კვლავ აუცილებელია, მაგრამ შენგენის სივრცეში მოგზაურობის მსურველი მოქალაქეებისთვის ადმინისტრაციული ტვირთი გაცილებით ნაკლებია. ხელშეკრულებებს ახლავს რეადმისიის ხელშეკრულებები, რომლებიც აწესებს პროცედურებს უკანონო ემიგრანტების საკუთარ ქვეყნებში დასაბრუნებლად, დანაშაულებრივ საქმიანობაში ჩართული ემიგრანტების ჩათვლით. შესაბამისი მონაცემთა ბაზების საფუძველზე სისტემატურად მოწმდებიან ადამიანები, რომლებიც კვეთენ ევროკავშირის გარე საზღვრებს, იმის დასადასტურებლად, რომ ისინი არ წარმოადგენენ საფრთხეს საზოგადოებრივი წესრიგის, შიდა უსაფრთხოების ან საზოგადოებრივი ჯანმრთელობის თვალსაზრისით. აღნიშნული მონაცემთა ბაზები მოიცავს შენგენის საინფორმაციო სისტემას და ინტერპოლის მოპარული და დაკარგული სამგზავრო დოკუმენტების მონაცემთა ბაზას. პროექტი, რომელსაც ახორციელებს Frontex, ევროპული სასაზღვრო და სანაპირო დაცვის სააგენტო, მუშაობს საზღვრის მართვის გაძლიერებაზე ექვს პარტნიორ ქვეყანაში. შესაბამის ხელისუფლებებს სთავაზობენ სპეციალურად შემუშავებულ ტრენინგს შემდეგი მიზნებით: უსაფრთხოების გაუმჯობესება, დაუცველი ადამიანების დაცვა (მაგ. თავშესაფრის მაძიებლები, ტრეფიკინგის მსხვერპლები), საზღვრისპირა დამნაშავეობის პრევენცია და კორუფციის შემცირება.

## მითი 7

### თავისუფალი ვაჭრობა გზას უხსნის პარტნიორი ქვეყნების პროდუქციის უსამართლო კონკურენციას ევროკავშირის ბაზარზე და უფრო იაფი მუშახელის არსებობას

**მცდარია:** სავაჭრო ურთიერთობები ევროკავშირსა და პარტნიორ ქვეყნებს შორის ორმხრივად სასარგებლოა. აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნები ევროკავშირის კომპანიებს ახალი ბაზრების ათვისებას და მომხმარებლებს სთავაზობენ, ხოლო ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე საქართველოსთან, მოლდოვასთან და უკრაინასთან საშუალებას აძლევს მოქალაქეებს ამ ქვეყნებში ისარგებლონ უფრო ფართო არჩევანით, ხარისხიანი და უსაფრთხო პროდუქტებით,

რომლებიც მათთვის ხელმისაწვდომია მომხმარებელთა დაცვის უფრო მაღალი სტანდარტების არსებობის საფუძველზე. ევროკავშირის ექსპორტი ექვს პარტნიორ ქვეყანაში თითქმის გაორმაგდა - 2004 წელს დაფიქსირებულმა მაჩვენებელმა, რაც 16.3 მილიარდ ევროს წარმოადგენდა, 2016 წელს 30 მილიარდ ევროს მიაღწია. 2017 წლის პირველი რვა თვის მონაცემები ასევე იმედის მომცემია და მიუთითებს ორმხრივი ვაჭრობის მკაფიო ზრდაზე ექვსივე ქვეყანაში. საბაჟო კონტროლი ევროკავშირის გარე საზღვრებზე ნიშნავს იმას, რომ იმპორტირებული პროდუქცია ევროკავშირის სტანდარტებს და მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს. გარდა ამისა, ევროკავშირმა შეიძლება მიიღოს ზომები, თუ ევროკავშირში არსებულ მრეწველობას ექნება პრეტენზიები ზიანის თაობაზე, რაც უსამართლო პრაქტიკამ, მაგ. დემპინგმა ან სუბსიდირებამ გამოიწვია.

## მითი 8

### აღმოსავლეთ პარტნიორობის საშუალებით ევროკავშირი თანამშრომლობს ლიდერებთან, რომლებიც პატივს არ სცემენ დემოკრატიას და ადამიანის უფლებებს

**მცდარია:** ევროკავშირი დაარსდა დემოკრატიის და ადამიანის უფლებების პატივისცემის პრინციპებზე. ის არის აღნიშნული ღირებულებების მომხრე და დამცველი ევროკავშირში და მის ფარგლებს გარეთ. აღმოსავლეთ პარტნიორობის დამატებითი ღირებულება არის ის, რომ ის სთავაზობს პლატფორმას ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს და პარტნიორობის ექვს ქვეყანას გაერთიანდნენ, გაუზიარონ ერთმანეთს გამოცდილება და საუკეთესო პრაქტიკა. ძლიერი მმართველობა, მათ შორის ინსტიტუტების გაძლიერება და სათანადო მმართველობა, აღმოსავლეთ პარტნიორობის ერთ-ერთი პრიორიტეტული სფეროა. აღმოსავლეთ პარტნიორობის მულტილატერალური ჩარჩოს გარეთ ევროკავშირს ასევე აქვს ძლიერი ორმხრივი ურთიერთობა თითოეულ ქვეყანასთან და ის დემოკრატიასთან და ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ საკითხებს სპეციალური ყოველწლიური დიალოგების წარმოების საშუალებით განიხილავს.

## მითი 9

### აღმოსავლეთ პარტნიორობის წევრობა ნიშნავს, რომ ეს ქვეყნები არ შეიძლება იყვნენ ევრაზიის ეკონომიკური კავშირის წევრები

**მცდარია:** აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივაში ჩართულობა არ გამორიცხავს ევრაზიის ეკონომიკური კავშირის წევრობას. მაგალითად, სომხეთი და ბელარუსი ორივე გაერთიანების წევრები არიან. ევროკავშირი არის რეგიონული ინტეგრაციის მხარდამჭერი მსოფლიოს ყველა წერტილში. მაგრამ მისი მხარდაჭერა ემყარება მონაწილე ქვეყნების თავისუფალ არჩევანს და საერთაშორისო კანონმდებლობის პატივისცემას, მათ შორის საერთაშორისო საზღვრების მხარდაჭერას. რაც შეეხება თავად ევროკავშირის თანამშრომლობას ევრაზიის ეკონომიკურ კავშირთან, მონაწილეობა შესაძლებელია, თუ ევროკავშირის წევრი ქვეყანა გადაწყვეტს ამას, მინსკის ხელშეკრულებების განხორციელებასთან ერთად.

## მითი 10

# ევროკავშირის მოქალაქეები არ იღებენ სარგებელს აღმოსავლეთ პარტნიორობიდან

**მცდარია:** სტაბილური, უსაფრთხო და წარმატებული ქვეყნები ჩვენს სამეზობლოში მნიშვნელოვანია ევროკავშირის სტაბილურობის, უსაფრთხოების და კეთილდღეობისთვის და უშუალო სარგებლობა მოაქვს ევროკავშირის მოქალაქეებისთვის. აღმოსავლეთ პარტნიორობის ამოცანაა ამ მახასიათებლების მქონე საერთო სივრცის შექმნა. გარდა ამისა, აღმოსავლეთ პარტნიორობა უზრუნველყოფს ბიზნესს ახალი ბაზრებით და მომხმარებლებით, როგორც ევროკავშირის, ისე პარტნიორი ქვეყნების მხრიდან. ამის ნათელი დადასტურებაა ასოცირების ხელშეკრულებები, რომლებიც მოიცავს ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალ სავაჭრო სივრცეს. ამგვარი ხელშეკრულებების საფუძველზე დაცულია ევროკავშირის მოქალაქეების, ბიზნესის და რეგიონების გეოგრაფიული დასახელებები და ინტელექტუალური საკუთრება. აღმოსავლეთ პარტნიორობის და ჩვენს აღმოსავლეთ მეზობლებთან ახლო ურთიერთობების კიდევ ერთი სარგებელია ტურიზმის და გაცვლების პოტენციალის ზრდა, განსაკუთრებით ახალგაზრდებისთვის (მაგ. პროგრამა „ერაზმუს +“, აღმოსავლეთ პარტნიორობის ახალგაზრდობის ფორუმი). ევროკავშირი ასევე მხარს უჭერს დამოუკიდებელ მედიას აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში, რადგან კრიტიკული და თავისუფალი მედია გარემო უმნიშვნელოვანესია დემოკრატიისთვის, რომელიც თავის მხრივ ხელს უწყობს სტაბილურობას ევროკავშირის სამეზობლოში.

გაიგეთ მეტი აღმოსავლეთ პარტნიორობის მე-5 სამიტის შესახებ